უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

07.04.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, პროგრამის დირექტორი, სხდომის მდივანი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
მიხეილ ჩხენკელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ნოდარ შურღაია - შპს ,,დასაქმების სააგენტოს ეიჩარის" დირექტორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ შოშიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **თამარ გარდაფხაძე** - შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი;
2. **დავით გეფერიძე** - შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ეკა ლუაშვილი;
გიორგი რამიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:38 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობამ სხდომის ხელმძღვანელად აირჩია საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა თინათინ ბრეგვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლუაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, შპს ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა ავტორიზაცია მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №25 გადაწყვეტილებით. დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე, ფართს ფლობდა ორ მისამართზე: ქ. თბილისი, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, 7ა და ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. № 26. პირველ მისამართზე (ქ. თბილისი, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, 7 ა) სასწავლებლის მფლობელობაში იყო 1594 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე მდგარი ოთხ სართულიანი შენობა-ნაგებობით, რომლის საერთო ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შეადგენდა - 904,17 კვ.მ-ს. მეორე მისამართზე (ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. № 26.) დაწესებულების მფლობელობაში იყო სამსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერისა და იჯარის ხელშეკრულების მიხედვით შეადგენდა - 927 კვ.მ-ს. ვიზიტის დროს, დაწესებულება აღარ ფლობდა იმ ფართს, რომელსაც ავტორიზაციის დროს ფლობდა, ავტორიზაციის მიღების შემდეგ სასწავლებელმა შეიცვალა ფართი და გადავიდა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, 7 ა, 904.17კვ.მ, რომელსაც დღემდე ფლობს, ამასთანავე აღნიშნულ ფართზე შემოწმების მიზნით განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი 2016 წლის იანვარში, ხოლო ამ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა, როგორც აღნიშნული ფართი, ასევე ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ.№ 26-ში მდებარე ფართი. ქ. თბილისში, მე-3 მასივში მდებარე შენობის პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელი იყო ეტლით მოსარგებლისათვის, თუმცა მისი გადაადგილება შედეგ სართულებზე, კიბეზე არსებული პანდუსის მიუხედავად დამოუკიდებლად შეუძლებელი იყო. ამასთანავე შენობის ცენტრალურ შესასვლელთან არსებული პანდუსის კონსტრუქციული მოწყობა არ იძლეოდა არც შესვლის და არც გამოსვლის შესაძლებლობას დამოუკიდებლად, დამხმარე პირის/პირების გარეშე. ჭყონდიდელის ქ. № 26-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელი იყო ეტლით მოსარგებლისათვის პანდუსის მეშვეობით, თუმცა მისი გადაადგილება შედეგ სართულებზე, კიბეზე არსებული პანდუსის მიუხედავად შეუძლებელი იყო დამოუკიდებლად. ვიზიტის დროს დაწესებულება ახორციელებდა სამ საგანმანათლებლო პროგრამას: 1. ბიზნესის ადმინისტრირება; 2. ტურიზმი; 3. საერთაშორისო ურთიერთობები. აკადემიური პერსონალი შედგებოდა 8 პროფესორისგან და 24 ასოცირებული პროფესორისგან. მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 57-ს. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი შედგებოდა 18 პირისგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 400 ადგილით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ირიცხებოდა 358 აქტიური სტატუსის მქონე პირი და 167 სტუდენტი იყო სტატუსშეჩერებული.

ვიზიტის დროს შემოწმდა სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და ჩატარდა გასაუბრება სასწავლებლის რექტორთან სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნის საჭიროების იდენტიფიკაციის მიზნით. აღნიშნული აქტივობების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლებელს სამოქმედო გეგმით 2017 წელს დაგეგმილ აქტივობებში განსაზღვრული ჰქონდა ფართის დამატება და სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნა.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებამ იზრუნოს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესებაზე. ამასთან, არსებული შრომითი კონტრაქტები (აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან) საჭიროებდა დახვეწას და სრულ შესაბამისობაში მოყვანას შრომის კოდექსთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებს და მოხდებოდა მათი გათვალისწინება.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა და რამდენი ადგილის დამატება სურდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული სტუდენტთა რაოდენობა უკვე აღემატებოდა საბჭოს მიერ განსაზღვრულ ქვოტას. ფიქსირდებოდა მზარდი რაოდენობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულ და დაწესებულებაში მობილობის მსურველ პირთა. ასევე, შემუშავების პროცესში იყო სამართლის საბაკალავრო პროგრამაც, რომლის სააკრედიტაციოდ წარმოდგენაც იგეგმებოდა უახლოეს მომავალში. დაწესებულების სურვილი იყო 800 ადგილით გაზრდილიყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

საბჭოს წევრების განმარტებით, მხოლოდ ფართის დამატება არ იყო საკმარისი მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტთა ადგილებისთვის. მნიშვნელოვანი იყო ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ადაპტირებული გარემო, აკადემიური პერსონალის რაოდნეობის გაზრდა და სხვა ფაქტორები. საბჭოს წევრების მოსაზრებით, დაწესებულების არსებული რესურსებით შესაძლებელი იყო 400 ადგილამდე გაზრდილიყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404916203) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 15:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე